# მეოთხე საერთაშორისო
# სამუსიკისმცოდნეო სტუდენტური კონფერენცია-კონკურსი

# THE FOURTH INTERNATIONAL
# CONFERENCE-COMPETITION FOR STUDENTS IN MUSICOLOGY

საქართველო, თბილისი 2013 TBILISI, GEORGIA

ბუკლეტზე მუშაობდნენ:
მაია სიგუა, ქეთევან ჩიტაძე, ელენე მურჯიკნელი, ნანა კაცია.

BOOKLET PREPAIRED BY:
Maia Sigua, Ketevan Chitadze, Elene Murjikneli, Nana Katsia.



თუ დავფიქრდებით იმაზე, რომ შემოქმედება და კვლევა ხელოვნების ორი აუცილებელი და განუყრელი კომპონენტია და ერთის გარეშე მეორე სრულფასოვნად ვერ ფუნქციონირებს, დავინახავთ იმასაც, თუ რა მნიშვნელოვანია მუსიკოლოგიური ვარჯიში და წვრთნა პროფესიული განვითარების ადრეულ ეტაპზე. როგორც სტუდენტი ინსტრუმენტალისტი და კომპოზიტორი საჭიროებს რეგულარულ საკონცერტო (და საკონკურსო) სიტუაციას თავისი წინსვლის საკონტროლოდ, ისე ახალგაზრდა მუსიკოლოგს უნდა ჰქონდეს საშუალება თავისი აქტუალური პროფესიული დონის მოსინჯვისა თანატოლების კონტექსტში, რაც მხოლოდ სტატიის წერისა და პუბლიკაციის პრაქტიკით არასაკმარისი და ნაკლოვანია. მუსიკოლოგთა საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია-კონკურსი ამ ხარვეზის შევსებასთან ერთად იმასაც ემსახურება, რომ ეს კონტექსტი მაქსიმალურად გასცდეს როგორც სასწავლებლის, ისე ქვეყნის ფარგლებს და ამით ქართული მუსიკოლოგია აზიაროს მსოფლიო მუსიკალური აზროვნებისა აქტუალურ მიღწევებს, ქართული მუსიკალური კულტურა კი მსოფლიო კვლევის საგანი გახადოს.

მივესალმები თბილისის კონსერვატორიის მეოთხე სტუდენტურ კონფერენციას, შთაგონებულ, შემოქმედებით და წარმატებულ მუშაობას ვუსურვებ მონაწილეებს, კონკურსანტებსაც და ჟიურისაც!

რეზო კიკნაძე, კონსერვატორიის რექტორი

If we realize the importance of creative work and research in art and their indivisibility, we also do realize the importance of musicological practice and train at the beginning of professional development. As a student instrumentalist and composer needs regular concert/competition for controlling growing of oneself so young musicologist must have opportunity to try own actual professional level in the context of peers, as only writing articles and publications are insufficient. The international student's conference-competition also serves to exceed the bounds of institution and country and share Georgian musicology with world musical achievements and to make Georgian musical culture subject of research.

I would like to congratulate to the fourth international student conference and wish successful work to participants, competitors and jury!

Reso Kiknadze, Rector of conservatory

მეოთხე საერთაშორისო
სტუდენტური სამუსიკისმცოდნეო
კონფერენცია-კონკურსი

THE FOURTH INTERNATIONAL
CONFERENCE-COMPETITION
FOR STUDENTS IN MUSICOLOGY

## ორგანიზატორებისგან

მოხარულები ვართ, რომ საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია-კონკურსი წელს უკვე მეოთხედ იმართება - ეს გვაფიქრებინებს, რომ იგი თანდათან მყარ ტრადიციად იქცევა. 2009 წლიდან დღემდე ეს კონფერენცია-კონკურსი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას ახალგაზრდა ქართველი მუსიკოლოგებისთვის და, უკვე უცხოელებისთვისაც - ტრადიციულად მონაწილე ქვეყნებთან ერთად გეოგრაფიული არეალი თანდათან ფართოვდება. წინა კონფერენცია-კონკურსთან შედარებით წელს გაიზარდა ქართველი მონაწილეთა რიცხვიც, რაც ძალიან გვახარებს.

წარმატებებს ვუსურვებთ ყველა მონაწილეს, ხოლო ჟიურის - საინტერესო სამუშაო დღეებს.

ქეთევან ჩიტაძე, მაია სიგუა, ნანა კაცია





## FROM ORGANIZERS

We are glad that International Conference-competition for students in musicology in Tbilisi is held for the fourth time – this fact makes us think that Conference-competition gradually will become a constant tradition. Since 2009 Conference-competition presents itself as one of the most important events as for young Georgian musicologists so for foreigners too. We have traditional participant countries, though the number of foreign participants gets more every year. We are glad, that this tendency has been continued and at the same time the number of Georgian participants has been grown.

We wish successes to all participants and interesting working days to jury.

Ketevan Chitadze, Maia Sigua, Nana Katsia

# განრიგი

## 19 აპრილი

10:30 მონაწილეთა რეგისტრაცია

11:00 - 11:20 - მარიამ ცოცხალაშვილი (საქართველო)
11:20 - 11:40 - თეონა ლომსაძე (საქართველო)
11:40 - 12:00 - სონა ანდრეასიანი (სომხეთი)

12:00 - 12:10 - შესვენება

12:10 - 12:30 - რუსუდან თაბაგარი (საქართველო)
12:30 - 12:50 - არჩილ ნიქაცაძე (საქართველო)
12:50 - 13:10 - ლიანა ხორბალაძე (საქართველო)

13:10 - 14:10 ლანჩი

14:10 - 14:30 - ანა ქურდოვანიძე (საქართველო)
14:30 - 14:50 - ოვანეს ამბარცუმიანი (საქართველო)

15:00 - მრგვალი მაგიდა „სამუსიკისმცოდნეო განათლება"

18:00 კულტურული პროგრამა: კონცერტი

## 20 აპრილი

11:00 - 11:20 - ევგენი კარპიევიჩი (ბელარუსი)
11:20 - 11:40 - ნევენა სტანიჩი (სერბეთი)
11:40 - 12:00 - ლინ შიუანი (ჩინეთი)

12:00 - 12:10 - შესვენება

12:10 - 12:30 - ანუპამ როი (დიდი ბრიტანეთი)
12:30 - 12:50 - ლალა გულიევა (აზერბაიჯანი)

12:50 - 14:00 ლანჩი

14:00 - 14:20 - ნანა კაცია (საქართველო)
14:20 - 14:40 - მაია სიგუა (საქართველო)
14:40 - 15:00 - ლევან გომელაური (საქართველო)

15:10 - 15:40 - დაჯილდოება

16:00 კულტურული პროგრამა:
ვიზიტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

# SCHEDULE

## April 19

10:30 registration of participants

11:00 - 11:20 - Mariam Tsotskhalashvili (Georgia)
11:20 - 11:40 - Teona Lomsadze (Georgia)
11:40 - 12:00 - Sona Andreasyan (Armenia)

12:00 - 12:10 BREAK

12:10 - 12:30 - Rusudan Tabagari (Georgia)
12:30 - 12:50 - Archil Nikatsadze (Georgia)
12:50 - 13:10 - Liana Khorbaladze (Georgia)

13:10 - 14:10 LUNCH

14:10 - 14:30 - Ana Kurdovanidze (Georgia)
14:30 - 14:50 - Ovanes Ambarsumian (Georgia)

15:00 - Round Table: “Musicological Education”

18:00 CULTURAL PROGRAMM:CONCERT

## April 20

11:00 - 11:20 - Evgenii Karpievich (Belarus)
11:20 - 11:40 - Nevena Stanic (Serbia)
11:40 - 12:00 - Shiyuan-Lin. (China)

12:00 - 12:10 BREAK

12:10 - 12:30 - Anupam Roy (United Kingdom)
12:30 - 12:50 - Lala Guliyeva Darvin (Azerbaijan)

12:50 - 14:00 LUNCH

14:00 - 14:20 - Nana Katsia (Georgia)
14:20 - 14:40 - Maia Sigua (Georgia)
14:40 - 15:00 - Levan Gomelauri (Georgia)

15:10 - 15:40 - Awarding ceremony

16:00 CULTURAL PROGRAMM:
VISIT AT THE GEORGIAN NATIONAL MUSEUM

## აპრილი 21 April

კულტურული პროგრამა: ექსკურსია — 9:00 — Cultural programm: EXCURSION

მეოთხე საერთაშორისო
სტუდენტური სამუსიკისმცოდნეო კონფერენცია-კონკურსი
თბილისი, საქართველო 2013

# მონაწილეები PARTICIPANTS

THE FOURTH INTERNATIONAL
CONFERENCE-COMPETITION FOR STUDENTS IN MUSICOLOGY
TBILISI, GEORGIA 2013

# ბაკალავრიატი

# BA



ოვანეს ამბარცუმიანი

საქართველო

Ovanes Ambarsumian
Georgia

ევგენი კარპიევიჩი

ბელარუსი

Evgenii Karpievich
Belarus





არჩილ ნიქაცაძე

საქართველო

Archil Nikatsadze
Georgia

## ოვანეს ამბარცუმიანი

II კურსი
ხელმძღვანელები - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ქეთევან ჭიტაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოც. პროფ. ქეთევან ბოლაშვილი

დაიბადა 1992 წელს თბილისში. 2010 წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, როგორც ტრომბონისტმა, 2011 წლიდან კი კომპოზიციის ფაკულტეტის სტუდენტია. მისი ნაწარმოებები სრულდება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. იგი არაერთი კონკურსის ლაურეატი, ფონდ „ივანანას" და საქართველოს პირველი ლედის ფონდის სტიპენდიანტია.

### შემსრულებელი და მსმენელი საქართველოში

**მოხსენების მიზანია საქართველოში ევროპული პროფესიული მუსიკის შესრულებისა და მისი მოსმენის ანალიზი; ევროპული მუსიკის შემოსვლის პერიოდისა და დღევანდელი მდგომარეობის შედარება.**

**მოხსენებაში განხილულია:**

**1. შემსრულებლობის საკითხები;**

**2. მსმენელი (მსმენელთა ტიპები დღეს).**

**საუბარია საბჭოთა კავშირის გავლენაზე საქართველოს მუსიკალურ ცხოვრებაზე, დადებით და უარყოფით მხარეებზე**

**ანალიზის შედეგად გამოტანილია დასკვნა, რომ ქართულ მუსიკაში მიმდინარე პროცესი გლობალურია და არაა სახასიათო მარტო საქართველოსთვის. ეს პროცესი ბევრი სხვა, ერთი შეხედვით, ხელოვნებისგან შორს მდგომი ფაქტორითაა განპირობებული, რაზეც მოხსენებაში უფრო ფართოდ იქნება საუბარი.**

**Ovanes Ambarsumian**

2nd year
Supervisers - Doctor of Arts Ketevan Chitadze, Doctor of Arts, Assoc. Prof. Ketevan Bolashvili

Born in 1992, Tbilisi. During 2010/2011 studied at Trombone class of Tbilisi State Conservatoire, since 2011 is student of Composition department. His works has been performed in Georgia and also other countries. He is laureate several competitions, received Schoolarship from first lady of Georgia Sandra Elisabeth Roelofs' Foundation and Paata Burchuladze's charity organization "Iavnana".

## PERFORMER AND LISTENER IN GEORGIA

The main topic of this paper is to analyze the performing and listening of European professional music (mainly, symphonic orchestral) in Georgia, also to compare the period when European music came here and nowadays standings.

In this report, we shall examine following problems:

1) Performing issues;
2) Listener (Listener types nowadays).

In context of the mentioned above, we shall discuss Soviet Union's traditions influence on Georgia's musical life. Assembled picture will portray both positive and negative sides. There will be comparative analysis between nowadays, Soviet and pre-Soviet periods.

Methodology: Main sources of Georgian music history, Philosophy, Theory of Interpretation.

Analysis let us conclude that the processes in Georgian music appear to be global and are not limited only to Georgia. Many, factors distanced from art and not associated with music caused this process, which we will explain in the report.

## ევგენი კარპიევიჩი

IV კურსი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი ანტონინა კარპილოვა

დაიბადა 1990 წელს მინსკში. 2004 წელს ჩააბარა ბელარუსიის სახელმწიფო მუსიკალურ აკადემიასთან არსებულ კოლეჯში, რომელიც 2009 წელს, მუსიკისმცოდნეობის პროფილით, წარმატებით დაამთავრა. არის პიანისტთა საქალაქო კონკურსების დიპლომანტი, მუსიკისმცოდნე-შემსრულებლის (ფორტეპიანო) რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატი.

### რიჰარდ ვაგნერის ოპერა „ფერიები" გერმანული რომანტიკული საოპერო ესთეტიკის კონტექსტში

**მოხსენების მიზანია ვაგნერის პირველი ოპერის კვლევა გერმანული რომანტიკული საოპერო ესთეტიკის კონტექსტში. მოხსენების ამოცანაა ოპერა „ფერიების" კომპლექსური ანალიზი. ვაგნერის „ფერიები" თავისებური „შემოქმედებითი ლაბორატორიაა", რომელშიც გერმანული მუსიკალური ესთეტიკის ნიშნებთან ერთად ვლინდება კომპოზიტორის ინდივიდუალური სტილის მახასიათებლები.**

**ოპერის კონცეფციაში პირველადაა გატარებული ვაგნერის შემოქმედების უმთავრესი იდეა - მონანიება სიყვარულის და ხელოვნების მაგიური ძალით. ნაწარმოების დრამატურგიაში უმთავრესია რეალურ და ფანტასტიკურ საწყისებთან დაკავშირებული ორი სახეობრივ-ინტონაციური სფერო. ოპერის სტილურ მახასიათებლებთან ერთად ხაზგასმულია ვაგნერის ადრეული პერიოდის მუსიკალური ენისთვის დამახასიათებელი ნოვაციები და ჰარმონიული „პრიორიტეტები".**

**Evgenii Karpievich**

4th year
Scientific supervisor – Candidate of Arts, Docent Antonina Karpilova

Born in 1990 in Minsk. In 2004 entered Republican gymnasium-college by Belarusian State Academy of Music, from which he successfully graduated in 2009, majoring in musicology. He is a winner of city piano contests, a laureate of Republican contest of musicologists-performers (piano).

## WAGNER'S FIRST OPERA "THE FAIRIES" IN THE CONTEXT OF GERMAN ROMANTIC OPERA AESTHETICS

The tasks of the our research are: the complex analysis of ideological and aesthetic, compositional and dramaturgic, and stylistic peculiarities of "The Fairies" and the introduction of the composer's first opus into modern scientific use. Wagner's first opera is represented as a distinctive "creative laboratory", in which alongside characteristic features of Romantic operatic aesthetics, traits of the brilliant German composer's individual style can be found.

One of Wagner's crucial ideas was introduced in the operatic concept – the idea of atonement for the curse by love and magic power of art. In the dramaturgy of the work special attention is paid to the characterization of two basic imaginative and intonation spheres-complexes: the real and the fantastic origins. Among the stylistic peculiarities, one could distinguish harmonic "priorities" and innovations characteristic of the composer's musical language which is being formed.

## არჩილ ნიქაცაძე

II კურსი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოც. პროფ. მარინე ქავთარაძე

დაიბადა 1990 წელს. სწავლობდა თბილისის "ნიჭიერთა ათწლედში", შემდეგ თბილისის ე. მიქელაძის სახ. მეორე მუსიკალურ სასწავლებელში (ფორტეპიანოს განხრით). 2009 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტია. პარალელურად, 2011 წლიდან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ეუფლება მუსიკის ისტორიის სპეციალობას.

### ლისტის საფორტეპიანო ტრანსკრიფციები ინტერტექსტუალობის ჭრილში

**მოხსენების მიზანია დავადგინოთ, ლისტის დამოკიდებულება ტრანსკრიფციის მეთოდისადმი ინტერტექსტუალობის ჭრილში, რისთვისაც განვიხილავთ იმ ნაწარმოებებს, რომელთა პირველწყაროს წარმოადგენს:**

**1) პროფესიული მუსიკა,**

**2) ფოლკლორული მასალა.**

**ჩვენი ამოცანაა „სხვისი" და „თავისი" სტილური შრეების დიფერენცირება მის ტრანსკრიფციებში არსებული მუსიკალური ტექსტის სხვადასხვა სტილების კონტექსტში განხილვისას.**

**ლისტის მიერ მუსიკის ქმნადობის პროცესში „სხვისი ტექსტის" გამოყენებას უაღრესად სპეციფიკური ხასიათი აქვს, რაც მჟღავნდება მუსიკალური აზროვნების კრეატიულობაში, ზოგადისა და კერძოს, ტრადიციულისა და ნოვატორულის, „სხვისისა" და „საკუთარის" ერთობლიობაში.**

**Archil Nikatsadze**

2nd year
Scientific supervisor – Doctor of Arts, Assoc. Prof. Marine Kavtaradze

Born in 1990 year. Finished Tbilisi music school N25, studied at Tbilisi "Ten-year School for Talented Children" and Tbilisi E. Mikeladze Music School in the specialty of piano. Since 2009 has been a student at Georgian Technical University and at the same time he studies Music History at Tbilisi State Conservatoire.

## PIANO TRANSCRIPTIONS OF FRANZ LISZT FROM INTERTEXTUAL VIEWPOINT

Our paper aims to ascertain what is Liszt's attitude (as of the master of transcription) to this genre model from intertextual viewpoint and to discuss in this context that pieces, where professional music on the one hand, and folk material on the other hand is used. We aim to point out in his transcriptions the relation between the layers "other's" and "own". What is the relation between objectively existing texts from intertextual viewpoint; between the results of somebody else's art and that "seen" with Liszt's (as of the composer's) "own" eyes.

The use of "other's text" by Liszt in the process of music-making has very specific character. The specificity is expressed in the creativity of thinking, which is presented as the complex of common and private, traditional and innovatory, totality of "other's" and "own".

# მაგისტრატურა

# MASTER STUDIES

სონა ანდრეასიანი
სომხეთი
Sona Andreasyan
Armenia





ლიანა ხორბალაძე
საქართველო
Liana Khorbaladze
Georgia

თეონა ლომსაძე
საქართველო
Teona Lomsadze
Georgia



ლინ შიუანი
ჩინეთი
Shiyuan-Lin
China





მარიამ ცოცხალაშვილი
საქართველო
Mariam Tsotskhalashvili
Georgia

ანა ქურდოვანიძე
საქართველო
Ana Kurdovanidze
Georgia





ნევენა სტანიჩი
სერბეთი
Nevena Stanic
Serbia

## სონა ანდრეასიანი

I წელი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, პროფესორი მიხაილ კოკჟაევი

დაიბადა 1991 წელს ერევანში. 2008-2012 წლებში სწავლობდა ერევნის კონსერვატორიაში. 2009 წელს ჩააბარა ამავე კონსერვატორიის საკომპოზიტორო ფაკულტეტზე. 2012 წელს მიიღო ირინა ტიგრანოვას სახელობის პრიზი საუკეთესო მუსიკალურ-კრიტიკული სტატიისთვის. ამავე წელს ჩაირიცხა სურენ მანველიანის ფოტოსკოლაში. 2013 წლიდან სომხეთის სახელმწიფო ფილარმონიული ორკესტრის ფოტოგრაფია.

### ტიგრან მანსურიანის მეოთხე კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისთვის „აბელ, სად არის ძმა შენი?”

**მოცემულ მოხსენებაში განიხილება ტიგრან მანსურიანის მეოთხე სავიოლონჩელო კონცერტი „აბელ, სად არის ძმა შენი?”, რომელიც ინსტრუმენტული კონცერტის ჟანრის მაგალითია XXI საუკუნის მუსიკალურ შემოქმედებაში. ნაშრომის მიზანია, ამ ნაწარმოების მაგალითზე, გავყვეთ ჟანრის განვითარების გზებს თანამედროვეობაში, რის შედეგადაც მივდივართ დასკვნამდე, რომ XXI საუკუნეში ინსტრუმენტული კონცერტის განვითარების ერთ-ერთ ტენდენციას წარმოადგენს ფრაგმენტული და ეპიზოდური სტრუქტურების გამოყენება მუსიკაში.**

**Sona Andreasyan**

1st year
Scientific supervisor – Candidate of Arts, Professor Mikhail Kokzhaev

Sona Andreasyan was born in Yerevan, Armenia, in 1991. She finished Secondary Special Musical School after Pyotr Tchaikovsky in 2008. Sona graduated from Yerevan State conservatory after Komitas (2012). She is currently a Bachelor’s student at the Department of Composition at the same conservatory (since 2009). In 2012 Sona got an award after Irina Tigranova for the best musical-critical article. In 2012 she entered Photo school of famous Armenian photographer Suren Manvelyan. At present, she works as a photographer at Armenian State Philharmonic Orchestra.

## THE FOURTH CELLO CONCERTO OF TIGRAN MANSURYAN “UBI EST ABEL, FRATER TUUS?”

The Fourth Cello Concerto of Tigran Mansuryan “Ubi est Abel, frater tuus?” is an example of the instrumental concerto in music of the 21st century. The purpose of this paper is to trace new development ways for world instrumental concerto by analyzing this concerto. Here, we conclude that one of the development trends of instrumental concerto in the 21st century music is an use of fragmental and episodic structures of music.

## ლიანა ხორბალაძე

II წელი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოც. პროფ. ქეთევან ბოლაშვილი


დაიბადა 1987 წელს. 2010 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის მუსიკის თეორიის ფაკულტეტი, ამავდროულად, არის ამავე კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის სტუდენტი. გაიმარჯვა 2009 წლის სტუდენტურ კონფერენცია-კონკურსში და 2012 წლის III საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენცია-კონკურსში. აქტიურად მონაწილეობს კონცერტებში, რამდენიმე ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოებების პირველი შემსრულებელია.

### იძულება და თავისუფლება ბულეზისა და კეიჯის რიტმულ აზროვნებაში

**XX საუკუნის II ნახევარი, რიტმის ჭეშმარიტი ბატონობის ხანაა. ამ ეპოქაში მის მიმართ გაჩნდა სხვადასხვაგვარი, ხშირად რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება, რასაც განაპირობებდა კომპოზიტორის ან ეპოქის ესთეტიკა, ნაწარმოების ჩანაფიქრი, საკომპოზიტორო ტექნიკა.**

**კვლევის ობიექტად ავირჩიეთ პიერ ბულეზის „სტრუქტურები Ia" და ჯონ კეიჯის „ცვალებადობათა მუსიკა". ჩვენი მიზანია ამ ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე განვიხილოთ რიტმული ორგანიზების თავისებურებები, წარმოვაჩინოთ მათ შორის არსებული მსგავსებები და განსხვავებები. დავადგინოთ, რამდენად სპონტანური და არაპროგნოზირებადი შეიძლება იყოს „შემთხვევითობის" პრინციპის გამოყენებით დაწერილი ნაწარმოები და არის თუ არა ზედმიწევნით ზუსტად დადგენილ სისტემაში ადგილი კომპოზიტორისეული თავისუფლებისთვის.**

**Liana Khorbaladze**

2nd year
Scientific supervisor – Doctor of Arts, Assoc. Prof. Ketevan Bolashvili

Born in 1987, in Tbilisi. In 2010 graduated from music theory faculty of Tbilisi State Conservatoire (BA). At the same time studies at the faculty performing on piano the same university. In 2009 and 2012 she won a prize at the best paper in the direction of music theory in student conference-competition and 3rd international student conference-competition. Actively takes part in concerts, is the first performer of several young composers pieces.

## COERCION AND FREEDOM IN RHYTHMIC THINKING OF BOULEZ AND CAGE

The second half of the 20th century is the genuine epoch for the rhythm domination. In this period rhythm is separated from other parameters of sound and becomes as an independent unit. Towards rhythm born a diverse, often radically different attitude caused by a composer's or epoch aesthetics, the work plan and composing techniques.

A main object of study are two completely different pieces: "Structures Ia" of Pierre Boulez and "Music of Changes" of John Cage. Our aim is, based on the analysis of above mentioned works, to discus the main features of the rhythm, distinguish likeness and differences between them. We would like to institute, how spontanuous and unpredictable the work can be, composed by using the 'chance' principle and if there is any space for composer's freedom in a fixed system.

## ანა ქურდოვანიძე

I წელი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოც. პროფ. ქეთევან ბოლაშვილი

დაიბადა 1983 წელს ქ. დუშეთში. 2000 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. დუშეთის მეორე საშუალო სკოლა, 2003 წელს - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლა (ფორტეპიანოს კლასი), ხოლო 2007 წელს - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ბაკალავრიატი კლავიშიანი საკრავების სპეციალობით. ამჟამად, ამავე კონსერვატორიის მუსიკის თეორიის ფაკულტეტის მაგისტრანტია.

### სოლო საფორტეპიანო კონცერტი: კლასიცისტური მოდელი ნეოკლასიციზმში

**ჩვენი სამეცნიერო ინტერესების ობიექტს წარმოადგენს ნეოკლასიციზმის ეპოქაში შექმნილი, ჟანრის არქეტიპზე ორიენტირებული სოლო საფორტეპიანო კონცერტები. მათი ანალიზისას ვიხელმძღვანელეთ შემდეგი კრიტერიუმებით:**

1. **ციკლის სტრუქტურა;**
2. **ნაწილების რაოდენობა და მათი ფუნქციები;**
3. **ბალანსი სოლისტსა და ორკესტრს შორის;**
4. **ენის, ფორმისა და ჟანრის თანაფარდობა.**

**ანალიზის შედეგად დგინდება, რომ ნეოკლასიციზმში გაბატონებულია ადრეკლასიცისტური ჟანრული მოდელი, რომელიც, არა ასლის სახით, არამედ შემოქმედებითადაა გადააზრებული, რაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოლისტსა და ორკესტრს შორის ბალანსის ახლებური გააზრება, ტრადიციული ჟანრის და ფორმის ახალ მუსიკალურ ენასთან სინთეზი.**

**Ana Kurdovanidze**

1st year
Scientific supervisor – Doctor of Arts, Assoc. Prof. Ketevan Bolashvili

Born in 1983 in Dusheti. In 2000 graduated from N 2 Dusheti public school, in 2003 – from Experimental Musical School at Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire (piano class). In 2007 graduated from Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire (BA, performing faculty, piano major). Currently she is a MA student of music theory faculty in the same Conservatoire

## SOLO PIANO CONCERTO: CLASSICAL MODEL IN NEO-CLASSICISM

The objects of our scientific concern are the solo piano concertos, oriented on the genre archetype, created in Neo-Classical epoch. They had been analyzed according to the following criteria:

1. Cycle structure;
2. Number and function of parts;
3. Balance between a soloist and an orchestra;
4. Correlation of the musical language, form and genre.

Through the analysis is stated, that, the Early-Classicism genre model is dominated in Neo-Classicism. Early-Classicism genre model is creatively reimagined, but not as a copy, due to reformed balance between a soloist and an orchestra and synthesis of traditional genre and form with a new music language.

## თეონა ლომსაძე

I წელი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფ. იოსებ ჟორდანია

იკვლევს ქართლის საქორწილო ტრადიციებს, ქართლური და ზემოიმერული სიმღერების ურთიერთმიმართებას, მთის რაჭის მუსიკალურ ფოლკლორს. 2010 წელს გახდა პირველი საერთაშორისო სამუსიკისმცოდნეო სტუდენტური კონფერენცია-კონკურსის გამარჯვებული, ნომინაციებში: ფოლკლორის მიმართულების საუკეთესო მოხსენება, საუკეთესო პრეზენტაცია. 2009 წელს გიორგი მთაწმინდელისადმი მიძღვნილი გორის ახალგაზრდული კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

### ქართული მუსიკალური ფოლკლორის გამოყენების თანამედროვე ფორმები

**ჩემი მოხსენების მიზანია, დავადგინო, თუ რა სახითა და ინტენსივობით ხდება ამა თუ იმ ფოლკლორული ნიმუშის თანამედროვე ყოფაში გამოყენება და რა სოციალური მოთხოვნილებებითა თუ ფსიქოლოგიური ფაქტორებითაა ეს განპირობებული.**

**საკითხზე მუშაობისას გამოიკვეთა ქართული ხალხური მუსიკის გამოყენების რამდენიმე ფორმა: დემონსტრაციების დროს; მედიცინაში, კერძოდ, მუსიკის თერაპიის დარგში; სარეკლამო ინდუსტრიაში; უცხოელი ხელოვანების შემოქმედებაში და სხვ.**

**დადგინდა, რომ ამ პროცესში ხშირად იგნორირებულია ფოლკლორული ნიმუშისათვის აუთენტური სახის შენარჩუნების საკითხი და იგი თანამედროვე მოთხოვნილებებზეა მორგებული. ზოგჯერ კი, უცხოელი ხელოვანების შემთხვევაში, ნიმუშების ქართული წარმომავლობა არც არის გააზრებული.**

**Teona Lomsadze**

1st year
Scientific supervisor – Doctor of Arts, Prof. Joseph Jordania

Her scientific interests at different times were: Wedding traditions in Shida Kartli and their dynamics in XX century; Issue of relationship between upper Imeretian and Kartlian music; Mountain Rachian folk music (traditions and present situation).
She's winner of the First International Conference-Competition In Musicology For Students – 2010, nominated as the best paper of ethnomusicology department and for the best presentation. In 2009, she was one of the organizers of Gori's youth conference devoted to George Mtatsmindeli. In 2010-2012 she held her own expeditions in some villages of Kartlian, Imeretian and Rachian regions.

## CONTEMPORARY FORMS OF THE USE OF GEORGIAN FOLK MUSIC

The theme of my paper is the forms of the use of Georgian folk music in Georgia, involved in modern economic space. Namely I aim to ascertain in which way and how intensely a folk music example is used in contemporary life and which social demands and psychological factors determines this.

While working on the issue several forms of the use of folklore were pointed out: The use of Georgian folk music during demonstrations; In medicine, namely as music therapy; In advertising industry; In creative works of foreigner artists, etc.

As a result, we see, that forms of the use of Georgian folk music are diverse, but in most cases the issue of the maintenance of the authentic performance of the examples is ignored and they are adjusted to modern demands. Sometimes, especially in the art of foreign artists the Georgian origin of the examples is not at all considered.

# მარიამ ცოცხალაშვილი

I წელი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოც. პროფ. მარინე ქავთარაძე

დაიბადა 1988 წელს, თბილისში. 2008 წლიდან სწავლობს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მუსიკის თეორიის ფაკულტეტზე. 2011 წელს მიღებული აქვს მონაწილეობა სტუდენტთა რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაში „სახელოვნებო მეცნიერებები", 2012 წელს გაიმარჯვა მესამე საერთაშორისო სამუსიკისმცოდნეო კონფერენცია-კონკურსში - ბაკალავრის საუკეთესო მოხსენება, ასევე დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით რადიო „მუზასგან".

## „მოცარტიანელობა" და თამაშის იდეა თანამედროვე მუსიკაში

**მოხსენების თემას წარმოადგენს მოცარტის სტილის გავლენა თანამედროვე მუსიკაზე, რაც საზღვარგარეთის მუსიკოლოგიაში ცნობილია ტერმინით „მოცარტიანელობა", და, რომელიც, ფართო გაგებით, ასახავს იმ მოვლენის მასშტაბს, რაც მოცარტის ფენომენს უკავია მის თანამედროვე თუ მომდევნო ეპოქების კომპოზიტორთა შემოქმედებაში.**

**განსაკუთრებულ ინტერესს მოცარტისეული და, ზოგადად, კლასიკური ტრადიციებისადმი პოსტმოდერნიზმის ეპოქის კომპოზიტორები იჩენენ, რაც გამოიხატება თამაშისა და ციტირების პრინციპის აღორძინებაში, ხშირად პაროდიული ეფექტით.**

**მოხსენებაში აღნიშნული პრობლემა განხილულია ორი სხვადასხვა ეროვნული სკოლის წარმომადგენლის, ქართველი - ზურაბ ნადარეიშვილისა და ნორვეგიელი - ბიორნ ჰოვარდ კრუზის ნაწარმოებების მაგალითზე.**

**Mariam Tsotskhalashvili**

1st year
Scientific supervisor – Doctor of Arts, Assoc. Prof. Marine Kavtaradze

Born in 1988, in Tbilisi. Since 2008 she studies at Tbilisi State Conservatoire, Music Theory faculty. She has participated in The Second and The Third International Conference-Competitions for Students in Musicology in 2011 and 2012 and has won nominations – "The Best Debute" in 2011 and "The Best Paper of BA student" in 2012 as well as special prize from Radio "Muza".

## "MOZARTIANISM" AND THE IDEA OF PLAYING GAMES IN CONTEMPORARY MUSIC

The term "Mozartianism", which has been largely used in musicology for a long time, means influence of Mozart style to the music of the successive epochs.

There are many creative works by composers of 19-20th centuries related to Mozart's music, that represent a wide range of influences by Mozart and shows new ways of interpretation. Number of such works is still increasing.

Mozart and Classicism traditions are subjects of particular interest to composers of Postmodern era, what develops principles of the playing games and citations, mostly with the effect of parody. The paper aims to demonstrate the principles and methods used by contemporary composers to represents and revive of Mozart's style.

The problem is analyzed by taking into account two composers' attitudes towards Mozart's music. The composers are – Georgian Zurab Nadareishvili and Bjorn Howard Cruse from Norway, they use different methods treating Mozart's musical material, showing their own attitude towards timeless classical ideal.

## ნევენა სტანიჩი

ნევენა სტანიჩი ბელგრადის უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის მაგისტრანტია. იგი იკვლევს მართლმადიდებლურ/ბიზანტიურ მუსიკას: მწუხრის მსახურებას მართლმადიდებლურ ეკლესიაში, დ. ბორტნიანსკის სასულიერო კონცერტებს, ბელგრადის სერბული მართლმადიდებლური ეკლესიის მუზეუმში დაცულ ბერძნულ-ბიზანტიურ ხელნაწერებს, ასევე, გუსტავ მალერის მუსიკას. მონაწილეობს კონფერენციებში, კონცერტებში, კოლოკვიუმებსა და საბიბლიოთეკო პროექტებში.

### ეროვნული ელემენტი, როგორც მეტაენა ლიუბიცა მარიჩის ნაწარმოებებში ("Octoechos 1"-სა და „ბიზანტიური კონცერტის" მაგალითზე)

**ლიუბიცა მარიჩი მუსიკაში მუდმივად ეძებს ჭეშმარიტებასა და სიმართლეს ცხოვრებასა და ხელოვნებაში. თუ რა სახის სიმართლეზეა ფოკუსირებული მისი აზროვნება და შემოქმედება - ეს არის ის ძირითადი შეკითხვა, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას, რომ მის მუსიკაში ვიპოვოთ ნაციონალური ელემენტებისა და (მეტა)ენების მრავალი ტიპი.**

**ამასთანავე, მოხსენებაში მიზნად ვისახავთ მცირე დოზით წარმოვაჩინოთ მისი ბიოგრაფიაც, განათლება, დამოკიდებულებები და მოსაზრებები ამ თემებზე. საანალიზო ნაწარმოებებში მოვნიშნოთ ყოველგვარი გავლენა მის მუსიკაზე, შევეხოთ სივრცისა და დროის საკითხებს, რომელებიც მისი ყურადღების უმნიშვნელოვანეს ობიექტებს წარმოადგენენ და განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ მარიჩის პოეტიკასა და ფილოსოფიაში.**

## Nevena Stanic

Nevena Stanic, student of master studies in musicology at the Faculty of Music in Belgrade University, is highly interested in researching Orthodox/Byzantine music. She also studied music of Gustav Mahler and examined post-modern theatre “Tesla: the Total Reflections”. Nevena Stanic took part at several conferences and worked on several projects of Faculty of Music – concerts, colloquiums, conferences and library projects.

### THE NATIONAL ELEMENT AS A META LANGUAGE IN COMPOSITIONS OF LJUBICA MARIĆ (EXAMPLES: “OCTOECHOS 1” AND “BYZANTINE CONCERT”)

Ljubica Maric has been constantly searching for T-truth and T-truthfulness in life and in arts. What kind of T-truth was in focus of her thinking and creation is the basic question which will give options for seeing many types of national elements and/or (meta) languages in music of Maric.

Furthermore, in the paper is going to be shown a pittance of her biography, education, attitudes and thoughts about certain topics. All influences in her music will be traced in selected works with questions of space and time – important spots in poetics, preoccupations and philosophy of Ljubica Maric.

## ლინ შიუანი

I წელი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფ. ლუ გუანგრუი

დაამთავრა სიამინის უნივერსიტეტის ხელოვნების კოლეჯის ბაკალავრიატი. იკვლევს დასავლური მუსიკის ისტორიას, ეთნომუსიკოლოგიას, ასევე, დაინტერესებულია მუსიკის თერაპიით. სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად მუშაობს ლექსიკონზე, ჩინეთის პერიოდული გამოცემებისთვის წერს სტატიებს მუსიკის ესთეტიკის შესახებ.

### ხელოვნება - კულტურა - აზროვნება: ბენჯამენ ბრიტენის „ორკესტრის გზამკვლევი ახალგაზრდებისთვის, ვარიაციები და ფუგა ჰენრი პერსელის თემაზე"

**მოხსენება წარმოადგენს ბრიტენის ნაწარმოების კულტურული მნიშვნელობისა და მახასიათებლების ანალიზს. ნაწარმოები კლასიკური ტონალობიდან მომდინარე კომპოზიციის ახალ კონცეფციაზე დაფუძნებით და მთელი რიგი თანამედროვე გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით ინოვაციურის მნიშვნელობას იძენს. ამასთან, სერიალურ და ალეატორულ ნაწარმოებებთან შედარებით, იგი აუდიტორიისათვის იოლად მისაღები და გასაგებია. მდიდარ შინაარსთან და ძლიერ ემოციურობასთან ერთად, ბრწყინვალე დასავლური ორკესტრობა არა მხოლოდ ხიბლავს ჩინელ ხალხს, არამედ დიდი წვლილი შეაქვს აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურული ურთიერთგაცვლის პროცესში. ამიტომ, დასარულს, ჩვენ ვისაუბრებთ ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებასა და სოციალურ მნიშვნელობაზე.**

## Shiyuan-Lin

1st year
Scientific supervisor – Prof. Lu Guangrui

During her studies in Xiamen University of China, she had an opportunity to discover a wide range of subject areas, such as western music history, ethnomusicology and music therapy. Her interest in studying relationship between music and culture was deepened her experience. She worked with her advisor to compile relevant dictionary, and wrote a paper related to musical aesthetic has been published in periodical of China.

### ART·CULTURE·MEANING BRITTEN: "THE YOUNG PERSON'S GUIDE TO THE ORCHESTRA, VARIATIONS ON A THEME OF HENRY PURCELL AND FUGUE"

This paper analyses the cultural meaning and characteristic of Britten's work. Based on a new concept of composition deriving from classic tonality, this work, with polytonality, polymodal harmony, has become an innovative contemporary music work in accordance with creative thinking arranged by beat, rhythm, tempo, homophony and polyphony freely. Compared to modern music as typified by serial music, aleatory music in the 1950's, most audiences tend to accept and understand this work easily because of its new form, abundant contents and strong emotion. This work, to some extent, is more of a song eulogizing the history of British culture and victory of anti-fascist war than a prevailed orchestra work to express the composer's passion for his country and world peace. It has not only maintained its glamour of western orchestra etched to Chinese people, but makes great contribution to the East and West culture exchange. This is the real value and social significance of this work.

# დოქტორანტურა

# PH.D.PROGRAMM

რუსუდან თაბაგარი
საქართველო

Rusudan Tabagari
Georgia





ლალა გულიევა დარვინი
აზერბაიჯანი

Guliyeva Lala Darvin
Azerbaijan

ანუპამ როი
დიდი ბრიტანეთი

Anupam Roy
United Kingdom



## რუსუდან თაბაგარი

I წელი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოც. პროფ. მარიკა ნადარეიშვილი

დაამთავრა თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის III სამუსიკო სასწავლებელი მუსიკის თეორიის განხრით (2002-2006). 2006 წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში (ბაკალავრიატი 2006-10წწ., მაგისტრატურა 2010-12წწ.). იკვლევს ინსტრუმენტული ფორმების თეორიულ-ისტორიულ პრობლემებს სხვადასხვა ეპოქის ევროპულ მუსიკალურ კულტურაში. მონაწილეობდა რამდენიმე სამუსიკისმცოდნეო კონფერენციაში (თბილისი, ბათუმი).

### იმპროვიზაციულობა პრელუდიაში: ბაროკო და XX საუკუნე

**იმპროვიზაციის ფენომენი ოდითგანვე თან სდევდა მუსიკალურ ხელოვნებას და ნაირგვარი ფორმით იჩენდა თავს სხვადასხვა ეპოქის მუსიკაში. მათ შორისაა იმპროვიზირების წიაღში ჩამოყალიბებული პრელუდიის ჟანრი, რაც მოხსენების ძირითად საგანს წარმოადგენს. კვლევის მიზანია დადგინდეს, როგორ გრძელდება იმპროვიზაციულობის ტრადიცია პრელუდიის თანამედროვე ნიმუშებში. შესაბამისად, ძირითადი ამოცანაა ფ. კუპერენის, გ. უსტვოლსკაიას, პრელუდიების შედარებითი ანალიზი იმპროვიზაციის კონტექსტში. მსგავსი რაკურსის კვლევა სამუსიკისმცოდნეო ლიტერატურაში არ შეგვხვედრია, რაც ნაშრომის სიახლეს განაპირობებს.**

**აღნიშნული ნიმუშების ანალიზმა ცხადყო, რომ თანამედროვე პრელუდიებისთვის იმპროვიზაციულობა დამახასიათებელ თვისებად რჩება, რომელიც გარკვეულ სტილისტურ პირობებში კონტროლირებადი ალეატორიკის სახით ვლინდება.**

**Rusudan Tabagari**

1st year
Scientific supervisor - Doctor of Arts, Assoc. Prof. Marika Nadareishvili

Graduated from Tbilisi 3rd Musical College, Music Theory specialty (2002-2008). In 2002 she entered Tbilisi State Conservatoire (Faculty of Composition and Musicology) and got BA (2010) and MA (2012) degrees. During the study period she was the holder of the President of Georgia Scholarship (2011-2012). Main field of R.Tabagari's research is theoretical-historical problems of Instrumental forms.

## IMPROVISATION IN PRELUDE: BAROQUE AND 20th CENTURY

Phenomenon of improvisation has always accompanied by musical art and revealed in diverse forms in a different period of music. Among them is a Prelude – genre that arisen in the depths of improvisation. This is the main subject of our article.

The aim of our research is to determine, how the tradition of improvisation goes on in the modern samples of the prelude genre. Consequently, the main task is to make a comparative analysis of Couperin's, Ustvolskaya's, unmeasured preludes, in the context of relations with the improvisation, generally the phenomenon of free development. Similar view of research hasn't found in musicological literature which determines the novelty of the paper.

As a result the analysis of mentioned samples of preludes have shown that the improvisation remained as the main characteristic feature for the modern preludes which under certain stylistic conditions have revealed in the form of controlled aleatoric frames.

# ლალა გულიევა დარვინი

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფ. გულნაზ აბდულაზადე

დაიბადა 1970 წელს, ბაქოში. სწავლობდა ბაქოს მუსიკალურ აკადემიაში კომპოზიციის ფაკულტეტზე. სწავლის პერიოდში შექმნა სხვადასხვა ჟანრის რამდენიმე ათეული ნაწარმოები. 1999 წელს მიწვეული იყო საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე (ავსტრია). ამჟამად ბაქოს მუსიკალური აკადემიის დისერტანტია, აქვე ეწევა პედაგოგიურ მუშაობას. იგი აზერბაიჯანში, რუსეთსა და თურქეთში გამოქვეყნებული 11 სამეცნიერო სტატიის ავტორია.

## რელიგიის, მუსიკისა და რიცხვების ურთიერთდამოკიდებულება

**მოხსენებაში ფილოსოფიურ ასპექტში განიხილება რელიგიის, მუსიკისა და რიცხვების ურთიერთდამოკიდებულება, თუ როგორ აირეკლება ეს სამი ფაქტორი შუა საუკუნეების ევროპულ, არაბულ და ძველინდურ მუსიკაზე. ასევე, როგორია რელიგიისა და რიცხვების ზემოქმედება დიდი კომპოზიტორების შემოქმედებაზე.**

**Guliyeva Lala Darvin**

Scientific supervisor - Doctor of Arts, Prof. Gulnaz Abdulazadeh

Guliyeva Lala Darvin was born in 1970 year, in Baku. At 1989 year she entered on the faculty of composition of Baku Musical Academy. During the years of learning musical composition she writes many pieces in different genres. In 1999 she was invited as a composer on the international musical festival in Austria. In 2009 year she has been awarded by the fellowship of President of Azerbaijan Republic. Up to date she is working as a teacher of Baku Musical Academy and also she is dis'sertant of BMA.

## LINKS OF RELIGION, MUSIC AND NUMBERS

In this article have been reviewed scaled cognition about correlations and links between religion, music and numbers within it's philosophical aspect. With the samples of ancient Indian, Arabic and European music of the middle centuries have been researched reflection of 3 factors (religion, music and numbers) and also influence of the religion and numbers on the creative activity of the famous composers.

## ანუპამ როი

II წელი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფ. საიმონ მაკ ვეი

სწავლობს მუსიკის ისტორიის მიმართულებით ლონდონის უნივერსიტეტის გოლდსმიტის კოლეჯში. იკვლევს ბეთჰოვენის სავიოლინო კონცერტს კომპოზიტორის შემოქმედების შუა პერიოდის ესთეტიკის კონტექსტში. 2007 წელს მონაწილეობდა აშშ-ს დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ „ხელოვნების გაცვლით პროგრამაში". მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციაში.

### სხვა(გვარი) გმირი
#### ჰეროიკულის სხვადასხვა ბუნება ბეთჰოვენის შემოქმედების შუა პერიოდში

სკოტ ბარნჰემის თქმით, სპეციფიკური სტილი, რომელიც ბეთჰოვენის შემოქმედების არსს განსაზღვრავს, ჰეროიკულია, რაც ნათლად გამოვლენილი მის ნაწარმოებთა მცირე რაოდენობაშია. ისინი შეიცავენ ბეთჰოვენამდელი, და, თვით ბეთჰოვენის ადრეული პერიოდის მუსიკისთვის რამდენიმე უპრეცედენტო, უაღრესად ორიგინალურ თავისებურებას. ეს თავისებურებები ამ ნაწარმოებებს გამოარჩევენ და აერთიანებენ „ჰეროიკულის" ნიშნით.

მაგალითად, მეოთხე საფორტეპიანო კონცერტში ჰეროიკული საწყისი ჩადებულია ფორტეპიანოსა და ორკესტრის პოლარიზაციაში, სავიოლინო კონცერტში - სოლო ვიოლინო სწრაფად მიიწევს უკიდურესი რეგისტრული მწვერვალისკენ და იქიდან „თანაგრძნობით გადმოჰყურებს" საორკესტრო პარტიის მომაკვდავ სამყაროს, ხოლო „პასტორალურ სიმფონიაში" პროტაგონისტი ცდილობს ნუგეში ბუნებაში ჰპოვოს.

მოხსენებაში განხილული იქნება ამ „სხვა" ნაწარმოებებში ნაპოვნი ჰეროიკული ბუნების რამდენიმე ურთიერთკონტრასტული ხაზი.

**Anupam Roy**

2nd year
Scientific supervisor: Prof. Simon McVeigh

Studies in Historical Musicology at Goldsmiths College, University of London. His area of research is Beethoven's Violin Concerto in the context of the composer's Middle Period music. In 2007, Roy was participants at the Fusion Arts Exchange Programme in Music Composition and Performance, organised by the United States Department of State. Roy has previously presented papers on Beethoven's heroic music at the TAGS Conference for postgraduate music students at Southampton, UK, in April 2012; and at the Manchester International Beethoven Conference in June 2012.

## THE (AN)OTHER HERO

Different strains of the "heroic" in the music of Beethoven's Middle Period

Scott Burnham begins the Introduction to his seminal monograph Beethoven Hero thus, "… the specific style that has come to define the nature of Beethoven's accomplishment is his heroic style, a style to which only a handful of his works can lay unequivocal claim: two symphonies, two piano sonatas, several overtures, a piano concerto." Indeed, the works Burnham alludes to contain some highly original features—unprecedented in the music before Beethoven's time, or even in early Beethoven—that make them stand out from the rest and entitle them to the "heroic" tag. There are, however, certain other opuses from this period that reveal some further novel traits which could be argued as being heroic or acts of heroism. These traits do not announce themselves quite so boldly, but lie subtly entangled with the music for the musical archaeologist to unearth.

For instance, in the Fourth Piano Concerto, the heroics lie not on the battleground but in the polarisation of the piano from the orchestral forces; or in the Violin Concerto, where the solo violin quickly ascends to the lofty pedestal of its highest registers and looks down sympathetically upon the mortal orchestral world below. Again, in the Pastoral Symphony the protagonist tries to find solace amidst the forces of nature. This paper will be an attempt to examine some of the contrasting strands of the heroic strain found in these "other" works.

# არასაკონკურსო

# OUT OF COMPETITION

მაია სიგუა
საქართველო

Maia Sigua
Georgia





ლევან გომელაური
საქართველო

Levan Gomelauri
Georgia

ნანა კაცია
საქართველო

Nana Katsia
Georgia



## ნანა კაცია

I წლის მაგისტრანტი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოც. პროფ. ქეთევან ბოლაშვილი


დაამთავრა თბილისის ზ. ფალიაშვილის სამუსიკო სკოლა ფორტეპიანოს განხრით (1999-2004), 2006 წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში (ბაკალავრიატი 2006-2011). ამჟამად პირველი წლის მაგისტრანტია. 2007 წლიდან მონაწილეობს სხვადასხვა სამუსიკისმცოდნეო კონფერენციაში, კონცერტებში (თბილისი, ბათუმი).

### ოლივიე მესიანის მუსიკალური ენის თავისებურება საფორტეპიანო ციკლის „ოცი ხილვა ყრმა იესოსი" მაგალითზე


ოლივიე მესიანი მუსიკის ისტორიაში გამორჩეული ფიგურაა. ჩვენი კვლევა კონცენტრირებულია კომპოზიტორის შემოქმედების მეორე ეტაპზე, სადაც წამყვანია რელიგიური თემატიკა. სწორედ ამ პერიოდში შექმნილი ერთ-ერთი გამორჩეული საფორტეპიანო ციკლის „ოცი ხილვა ყრმა იესოსი" მაგალითზე განვიხილავთ კომპოზიტორის ნოვატორულ მიგნებებს დროის და სივრცის, მუსიკალური ფორმის, კილოს და ჰარმონიის სფეროში, ვაანალიზებთ თუ როგორ თანარსებობს კომპოზიტორის მხატვრული აზროვნებაში და ესთეტიკაში ევროპული ცნობიერება და მუსიკალური დროის არაევროპული გაგება. ამ ნაწარმოებთან ერთად ჩვენი გზამკვლევი იქნება კომპოზიტორის თეორიული ნაშრომი „ჩემი მუსიკალური ენის ტექნიკა".

**Nana Katsia**

MA Student, 1st year
Scientific supervisor – Doctor of Arts, Assoc. Prof. Ketevan Bolashvili

Graduated from Tbilisi Zaqaria Paliashvili Secondery School, piano class. In 2002 she entered Tbilisi State Conservatoire (Faculty of composition and music theory) and got BA degree in music history (2011). Since 2007 she takes part in student conferences and concerts. In 2010 she was an assistant of director at the festival Contemporary Music Evenings. Nana Katsia is one of the organizers the Third and Fourth International Conference-Competition for Students in Musicology (TSC, 2012, 2013).

## THE PECULIARITIES OF OLIVIER MESSIAEN'S MUSICAL LANGUAGE ACCORDING TO A PIANO CICLE, "VINGT REGARDS SUR L'ENFANT JÉSUS"

Olivier Messiaen is an outstanding figure in the history of music. Our research concerns on the second period of Olivier Messiaen's work, where in religion plays a leading part. Exactly in that period was created one of the distinctive piano cicle "Vingt regards sur l'enfant Jésus". Just this piece of work will serve us as a good example to discuss the composer's innovative findings in the sphere of harmony, rhythm, intonation, tone, color, sound, tune, note, tint, time and space. We shell also review the coexistence of the European consciousness and not European perception of musical eternity in the composer's art of thinking. Just these aspects will be illustrated in our paper. In addition to the "Vingt regards sur l'enfant Jésus", we shell also guide with the composer's theoretic work, "The Technique of My Musical Language".

## ლევან გომელაური

II წლის მაგისტრანტი, კომპოზიტორი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოც. პროფ. მარიკა ნადარეიშვილი


დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ბაკალავრიატი კომპოზიციის სპეციალობით (2007-11 წწ.). მონაწილეობდა ფესტივალებში (Buckower Kunst – 18 საერთაშორისო ფესტივალი კომპოზიტორებისთვის - ტრებნიცი, „Yang Euro Classic“, ქ. ბერლინში), მასტერკლასებში, კონფერენციაში (თბილისი, 2012). დავით თორაძის (2009, 2010), პრეზიდენტის (2001, 2012) სტიპენდიანტი. 100-ზე მეტი მუსიკალური კომპოზიციის ავტორი.

### ნიკოლაი როსლავეცის „სინთეტაკორდი" და თანამედროვე საკომპოზიციო ძიებები

მოხსენების საგნის შერჩევა ამ ეტაპზე ჩემმა შემოქმედებითმა ძიებებმა განაპირობა. კერძოდ, ყურადღება მიიპყრო XX საუკუნის პირველი ნახევრის რუსი ნოვატორი კომპოზიტორის, ნიკოლაი როსლავეცის საკომპოზიციო მეთოდმა - „სინთეტაკორდმა" (კომპოზიტორი მას მიმართავდა 1913-28 წლებში). მოხსენებაში მოკლედ გაშუქებულია „სინთეტა-კორდის" მნიშვნელობა იმ პერიოდში არსებული ჰარმონიული სისტემების კონტექსტში. ყურადღება გამახვილებულია სინთეტაკორდისა და სერიის ცნებათა ურთიერთმიმართებაზე.

როსლავეცის „სინთეტაკორდის" თეორიის შესწავლამ მიბიძგა შემექმნა ბგერათა კომპლექსის რიტმულ-ჰარმონიული ორგანიზების სპეციფიკური საკომპოზიციო ხერხი - „იზორიტმაკორდი" (პირობითი ტერმინი), რომლის გამოყენებითაც დაიწერა კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაწარმოები.

**Levan Gomelauri**

MA Student (Composition), 2$^{nd}$ year
Scientific supervisor – Doctor of Arts, Assoc. Prof. Marika Nadareishvili

Graduated from Tbilisi State Conservatoire, specialty - Composition (2007-11). He takes part in festivals (Bukover kunst – 18 international festival of composers, Trebnitz; Yang Euro Classic, Berlin), master-classes (Gia Khancheli, Josef Bardanashvili, Johanes Shoelhorn, Maximilian Marcolli), conference (Tbilisi, 2012.). Scholarship of Davit Toradze (2009,2010), President of Georgia (2001,2012). Author of more than 100 compositions.

## NIKOLAI ROSLAVETS'S SYNTHETIC CHORD AND CONTEMPORARY COMPOSITIONAL RESEARCHES

My creative and compositional searches are caused by an object of research of the given paper. Particularly, the attention was attracted to a compositional method of the Nikolai Roslavets's Synthetic chord (this method was used by Russian composer in the first periof of his works – 1913-1928). In this article is briefly reviewed the importance of the Synthetic chord in the context of the harmonic systems at that period. Also there is emphasized the interaction between the terms of Synthetic chord and Set.

Learning the theory of Roslavets's Synthetic chord gave me impetus to create the specific compositional method of rhythmic-harmonic organization of the sounds set, which I call "Isorhythmchord" (conditional term). Specially for this conference I created composition by using Isorhythmchord compositional method.

## მაია სიგუა

III წლის დოქტორანტი
სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოც. პროფ. ქეთევან ბოლაშვილი

მუსიკოლოგიის მაგისტრი. იკვლევს თანამედროვე ოპერის ჟანრისა და დრამატურგიის საკითხებს ანტიკურ ტრაგედიასთან მიმართებაში. მონაწილეობს კონფერენციებში (საქართველოში, საზღვარგარეთ), კონცერტებში. არის არაერთი სამეცნიერო სტატიის ავტორი და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სამუსიკო განათლების შესახებ გზამკვლევის თანაავტორი. მონაწილეობს ფესტივალებისა და კონფერენციების, მათ შორის საერთაშორისო სამუსიკისმცოდნეო კონფერენცია-კონკურსების ორგანიზებაში.

## ტრაგედიის არისტოტელესეული კონცეფცია და რიჰარდ შტრაუსის „დაფნე"

**არისტოტელეს „პოეტიკა" პირველი სისტემატიზებული ნაშრომია ანტიკური ბერძნული ტრაგედიების შესახებ, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია და დღესაც, თანამედროვე თეატრის თეორიის ერთ-ერთი საფუძველია.**

**სწორედ „პოეტიკა" წარმოადგენს ჩვენი ინტერესის ობიექტის - რიჰარდ შტრაუსის ანტიკური მითის მიხედვით შექმნილი ოპერა „დაფნეს" კვლევის მეთოდოლოგიურ ამოსავალს. ჩვენი მიზანია დავადგინოთ, რამდენად შენარჩუნებულია ამ ნაწარმოებში ტრაგედიის არისტოტელესეული კონცეფცია. ვაანალიზებთ რა შტრაუსის ოპერას ტრაგედიის არისტოტელესეული ელემენტების მიხედვით, ვადგენთ, თუ რა არის არისტოტელეს კონცეფციიდან სტაბილური ან ცვალებადი შტრაუსის ოპერაში და როგორ მოქმედებს მუსიკის კომპონენტი ტრაგედიის ელემენტებზე „დაფნეს" დრამატურგიაში.**

## Maia Sigua

PH.D. Student, 3rd year
Scientific supervisor: Doctor or Arts, Assoc. Prof. Ketevan Bolashvili


Master of musicology. Her interest of research occupies problems of genre and dramaturgy of contemporary opera towards ancient Greek tragedy. At the same time take part in conferences (in Georgia and foreign), concerts. She is also an author of several scientific articles and co-author of the guidebook about primary music education at the public schools. Maia Sigua takes part in organize in process of festivals and conferences as well as she is one of the organizers of International Conference-Competition for Students in Musicology.

### CONCEPTION OF TRAGEDY AFTER ARISTOTLE AND “DAPHNE“ BY RICHARD STRAUSS

“Poethics” by Aristotle is the first systematized work about ancient Greec tragedy which has been come till today and presents one of the foundation of contemporary theory of .

The object of our interest is the opera “Daphne” by Richard Strauss (after ancient myth and “Metamorphoses” by Vergil) and Poetics is the methodological basis for our research.We aim to define if Aristotelian concepcion of tragedy is kept in “Daphne”. In the process of analysis of Strauss’s opera after the elements of Aristotelian tragedy, we determine which from these elements remained stabil and which one becomes mobile and how does effect the music component on the elements of Aristotelian tragedy in the dramaturgic level of “Daphne”.

მეოთხე საერთაშორისო
სტუდენტური სამუსიკისმცოდნეო კონფერენცია-კონკურსი
თბილისი, საქართველო 2013

# ჟიური
# JURY

THE FOURTH INTERNATIONAL
CONFERENCE-COMPETITION FOR STUDENTS IN MUSICOLOGY
TBILISI, GEORGIA 2013

სოლო პიანისტის ხელოვნებას ეუფლებოდა ლონდონის მუსიკის სამეფო აკადემიაში, ხოლო სამეცნიერო ხარისხი საქსესის უნივერსიტეტში მიიღო. 1998 წლიდან ლექციებს კითხულობდა ველინგტონის უნივერსიტეტში (ახალი ზელანდია), ხოლო 2001 წელს გახდა ჩრდილოეთის მუსიკის სამეფო კოლეჯის ერთ-ერთი დეკანი და ამავდროულად ხელმძღვანელობდა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს.

მისი სამეცნიერო ინტერესები თემათა ფართო სპექტრს მოიცავს: მოცარტისა და XVIII საუკუნის თეორიიდან დაწყებული, ვაგნერით, მალერით, ბერგით, კრიტიკული თეორიითა და პუჩინით დამთავრებული. ახლახან გამოცემულ მის წიგნში „იტალიური ტრადიციები და პუჩინი: კომპოზიციის თეორია და პრაქტიკა XIX საუკუნის ოპერაში" (ინდიანა, 2011). პირველად განხორციელდა იტალიის არქივებში დაცული უდიდესი რაოდენობის ხელნაწერების კრებულებისა და პედაგოგიური მასალის კვლევა.

## ნიკოლას ბარაგვანათი

დიდი ბრიტანეთი

**ნოტინგემის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**



## NICHOLAS BARAGWANATH

United Kingdom

**PH.D. Associate Professor of the University of Nottingham**

Nicholas Baragwanath trained as a solo pianist at the Royal Academy of Music, London, before completing postgraduate degrees at the University of Sussex. From 1998 he was Lecturer in Music at the University of Wellington, New Zealand, moving in 2001 to the Royal Northern College of Music, where he was Head of Postgraduate Studies and subsequently Dean of Research and Enterprise, overseeing the establishment of a new Graduate School and the introduction of collaborative PhD programmes. His research covers a broad range of topics from Mozart and eighteenth-century theory to Wagner, Mahler, Berg, Critical Theory, and Puccini. His recent book "The Italian Traditions and Puccini: Compositional Theory and Practice in Nineteenth-Century Opera" (Indiana, 2011) was the first to explore the vast manuscript collections of pedagogical materials held in Italian archives.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია მუსიკისმცოდნე-ფოლკლორისტის სპეციალობით (1990). მისი მოღვაწეობის ძირითადი სფეროა ქართული საეკლესიო გალობა. აქვს გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, მათ შორის ქართული სამგალობლო სკოლების ტრადიციის, გალობის მრავალხმიანობის შესახებ. გამოცემული აქვს ქართული საეკლესიო საგალობელთა (2002, 2006) და ხალხური სიმღერის (2005) სანოტო კრებულები. მონაწილეობა აქვს მიღებული ფოლკლორისტულ ექსპედიციებსა და სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციასა და სიმპოზიუმებში. არის საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი, ანჩისხატის ტაძრის მგალობელი.

## დავით შუღლიაშვილი

საქართველო

მუსიკოლოგიის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების სპეციალისტი



## DAVIT SHUGHLIASHVILI

Georgia

Doctor of Musicology,
specialist at the Georgian Folk Music Department of Tbilisi State Conservatoire.

Graduated from the Musicology Department of Tbilisi State Conservatoire (folkloire, 1990). Main sphere of his activity is Georgian Church chant. Has published scientific works, including the ones on the traditions of Georgian Schools of Chant, on the polyphony of chants. Has published collection of transcription of Georgian church chants (2002, 2006) and Georgian folk songs (2005). Has participated in the field expeditions and various international scientific conferences and symposia. Davit Shughliashvili is also a member of the Georgian Composers Union. Chanter of the Anchiskhati Church Choir.

1974 წელს დაამთავრა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობა-საკომპოზიტორო ფაკულტეტი, 1977 წელს - ასპირანტურა, 1983 წელს მოიპოვა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 1984 წელს - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხი. 1972 წლიდან დღემდე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის კათედრის ასოცირებული პროფესორია, მიჰყავს სალექციო კურსები მუსიკის თეორიულ სასწავლო დისციპლინებში, არის საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების, სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელი; 2005 წლიდან დღემდე - სახ. კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსია; 1974 წლიდან დღემდე 40-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და რესპუბლიკური და საერთაშორისო კონფერენციების მონაწილეა.

**ლეილა მარუაშვილი**

საქართველო

**ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,**
**თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის**
**ასოცირებული პროფესორი**



**LEILA MARUASHVILI**

Georgia

Doctor of Arts,
Associate professor
of Tbilisi State Conservatoire

In 1974 graduated from Tbilisi V. Sarajishvili State Conservatory, the Faculty of Musicology and Composition, in 1977 – postgraduate course, in 1984 achieved degree of Doctor of Arts. Since 1972 till today Leila Maruashvili is associate professor of Department of Musical Theory in Tbilisi V. Sarajishvili State Conservatory, carries out selection courses in Musical Theory training courses, is the supervisor of Bachelor’s, Master’s diplomas and Doctoral Thesis; since 2005 till today is The State Conservatory Quality Assurance Chief; since 1974 till today is an author of approximately 40 scientific papers and the participant of republican and the international conferences.

მუსიკისმცოდნე, პიანისტი. თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, რომელიც დაამთავრა 1999 წელს მუსიკისმცოდნეობის განხრით. 2001 წლიდან ცხოვრობს საფრანგეთში, სადაც მან გაიარა პარიზის კონსერვატორიის უმაღლესი დახელოვნების კურსი მუსიკისმცოდნეობაში და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია "მუსიკალური სივრცე: ცნება და ფენომენი 1950-60-იანი წლების ავანგარდისტ კომპოზიტორთა შემოქმედებაში (შტოკჰაუზენი, ქსენაკისი, ლიგეტი...)". მისი სამუსიკისმცოდნეო ნაშრომების ძირითადი თემებია XX-XXI საუკუნეების მუსიკა, მუსიკალური სივრცე და დრო, მუსიკალური ხელოვნების ფსიქოლოგიური და სოციო-ანთროპოლოგიური საფუძვლები. კერძოდ, თავის დისერტაციასა და სამეცნიერო სტატიებში, მან დაამუშავა მუსიკალური სივრცის ფენომენოლოგიური თეორია. მის გამოკვლევებში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია აგრეთვე ექსპრესიული ჟესტის ცნებას, რომელიც მუსიკის ინტონაციური თეორიის გაფართოებულ გაგებას ემყარება. ამავდროულად, იგი მოღვაწეობს როგორც პიანისტი, ასრულებს როგორც XVIII-XIX საუკუნეების მუსიკას, ისე თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. 2012 წელს, საშემსრულებლო მოღვაწეობისთვის, მას მიენიჭა საფრანგეთის ხელოვნებათა აკადემიის დელ დუკას სახელობის პრემია.

**გიორგი ბერიაშვილი**

საფრანგეთი

**მუსიკოლოგიის დოქტორი**



**GEORGES BÉRIACHVILI**

France

Doctor of Musicology

Georges Bériachvili graduated from Chemical faculty of Georgian Technical University and Music theory faculty of Tbilisi State Conservatoire (1999). Since 2001 year he lives in France, completed cycle de perfectionnement en musicology in Paris National Conservatoire and defended his PhD thesis “Musical Space: concept and phenomenon through the avant-garde 1950s and 1960s (Stockhausen, Xenakis, Ligeti …)”. Main topics of his scientific work are: Music of 20-21 century, time and space in music, psychological and socio-anthropological basics of music art. Particularly, he elaborated the phenomenological theory of musical space in his thesis and scientific articles. One of the most central place in his researches occupies concept of expressive gesture, which is based on advanced understanding of intonation theory of music. At the same time Georges Bériachvili works as a pianist. He performes music of 18-19 century as well as pieces of contemporary composers. At 2012 year he was awarded by Del Duca Prize awarded by the French Académie des Beaux Arts.

## 2012 წლის კონფერენცია-კონკურსის გამარჯვებულები:

მარიამ ცოცხალაშვილი - ბაკალავრიატის საუკეთესო მოხსენება

ლიანა ხორბალაძე - მაგისტრანტის საუკეთესო მოხსენება

## THE WINNERS OF 2012 YEAR CONFERENCE-COMPETITION:

Mariam Tsotskhalashvili – Best paper of BA student

Liana Khorbaladze - Best paper of MA student

# მხარდამჭერები SUPPORTERS

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი

RADIO
MUZA

COMPOSERS' UNION OF GEORGIA
საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი

# შენიშვნები 2013 NOTES

Info: www.conservatoire.edu.ge/imscc

Contact: geomusicology@gmail.com